

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრობლოკი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და

რეგისტრირებულია: 07.09.2015წ.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 417887157

დღგ-ს გადამხდელი: 25.02.2016წ.

დამფუძნებელი: მურად წკრიალაშვილი (პ/ნ 59001016955) - 100%

დირექტორი: მურად წკრიალაშვილი

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. გორი, შინდისის გზ.მე-3 კმ

შპს „ევრობლოკის“ საქმიანობას წარმოადგენს ბეტონის პროდუქციის წარმოება საამშენებლო მიზნებისთვის (NAEC 23610), შენობების საერთო მშენებლობა (NAEC 41200) (შენიშვნა: 2023 წლის ბოლოს დაემატა მშენებლობა რეესტრში, მაგრამ საქმიანობა ამ მიმართულებით არ განუხორციელებია).

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „შპს „ევრობლოკი“-ს მიერ წარდგენილ მეოთხე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

4. ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ლარი.

წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ლარში.

მონაცემები დამრგვალებულია ერთეულ ლარზე სიზუსტით.

5. მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები.

შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად და აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

6. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობების შემოსავალში აღება ხდება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

7. ძირითადი საშუალებები

საწარმოს საწარმოო პროცესში გამოყენებული ტერიტორია და ტრანსპორტი სარგებლობის უფლებით (იჯარა) აქვს აღებული. 2023 წელს შეიძინა საკუთარი ტრანსპორტი და საოფისე ტექნიკა.

8. შემოსავლების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, თუ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

9. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

10. გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში.

2023 წელს კომპანიამ ასევე გასცა დივიდენდი.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2023 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

დირექტორი:



/მ. წკრილაშვილი/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები	2581818	1785508	983814
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
<i>ძირითადი საშუალებები</i>			
<i>(ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლები)</i>	303751	0	0
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>	2278067	1785508	983814
<i>ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები</i>	1420	58196	44934
<i>სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები</i>	744678	836233	297829
<i>მარაგები</i>	317169	0	221455
<i>შზა პროდუქცია</i>	664800	891079	419596
<i>სხვა პირზე სესხად გაცემული თანხა</i>	550000	0	0
მთლიანი კაპიტალი	2451940	1620727	308501
<i>საწესდებო კაპიტალი</i>	0	0	0
<i>გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)</i>	2451940	1620727	308501
მთლიანი ვალდებულებები	129878	164781	675313
<i>გრძელვადიანი სესხები</i>	0	0	500000
<i>მოკლევადიანი სესხები</i>	50000	0	175313
<i>სავაჭრო ვალდებულებები</i>	79878	164781	0
<i>საგადასახადო ვალდებულებები</i>	0	0	0
<i>სხვა ვალდებულებები</i>	0	0	0
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	2581818	1785508	983814

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	5591806	8101959
დანახარჯები გაწეულ მომსახურებაზე	3130841	5669625
<u>საერთო მოგება</u>	2460965	2432334
დასაქმებულთა ხარჯი	877401	721895
ცვეთა	15987	0
% ხარჯი	4088	18244
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	690276	338648
სულ საოპერაციო ხარჯი	1587752	1078787
საოპერაციო მოგება	873213	1353547
დივიდენდი	40000	31000
მოგება დაბეგვრამდე	873213	1353547
მოგების გადასახადის ხარჯი	2000	10321
<u>წმინდა მოგება</u>	871213	1343226

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ნაშთი: 31/12/2022

საწესდებო კაპიტალი	0
გაუნაწილებელი მოგება	1620727
სულ კაპიტალი	1620727

2023 წელი

საწესდებო კაპიტალი	0
კაპიტალის ზრდა/შემცირება	0
მოგების ზრდა/შემცირება	871213
გაცემული დივიდენდი	40000
გაუნაწილებელი მოგება	2451940

სხვა ცვლილებები -----

ნაშთი 31/12/2023 **2451940**

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-56776	13262
მიღებული ფულადი სახსრები	11498429	10160134
გადახდილი ფულადი სახსრები	11555205	10146871
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	58196	44934
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1420	58196